მაღალი მოთხოვნები სოფლის კადრებისადმი

PRAVDA

1 ივნისის მოწინავე

ᲩᲕᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲒᲕᲥᲕᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲕᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲝᲗ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲔᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲕᲔᲠ ᲐᲠᲗᲘᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲣᲠᲘᲒᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲝᲚᲥᲨᲘ, ᲠᲐᲝᲜᲨᲘ ᲪᲝᲪᲐ ᲠᲝᲛᲓᲔᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲐᲓ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲛᲔᲣᲠᲔᲜᲝᲑᲐ, ᲐᲠ ᲘᲪᲘᲐᲜ ᲛᲐᲗᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ.

„ᲗᲣ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲗ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ, — ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲐᲛᲑᲐᲜᲐᲒᲘ Გ. ᲨᲐᲠᲒᲐᲕᲘ. — ᲯᲔᲠ ᲨᲔᲓᲒᲔᲗ ᲑᲝᲚᲛᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲗᲘᲡᲜᲘᲗ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲔᲣᲠᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲓᲘᲗ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲑᲐᲡ.

ᲩᲕᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲒᲕᲥᲕᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲕᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲝᲗ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲔᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲕᲔᲠ ᲐᲠᲗᲘᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲣᲠᲘᲒᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲝᲚᲥᲨᲘ, ᲠᲐᲝᲜᲨᲘ ᲪᲝᲪᲐ ᲠᲝᲛᲓᲔᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲐᲓ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲛᲔᲣᲠᲔᲜᲝᲑᲐ, ᲐᲠ ᲘᲪᲘᲐᲜ ᲛᲐᲗᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲓᲘᲗ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲑᲐᲡ.

ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲒᲘᲩᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲓᲔᲑ

გავუფრთხილდეთ საფაგრიკო მარკის ღირსებას!

წუნი — წარმოების ლაქა

საბჭოთა პროდუქცია საუკეთესო უნდა იყოს!

უკანასკნელ პერიოდში ჩვენი მრეწველობის მიერ დამზადებული პროდუქცია მოახმარებელთა კარგ შეფასებას იმსახურებს.

მაგრამ ჯერ კიდევ არიან საწარმოები, რომლებიც უშვებენ წუნდებულ პროდუქციას.

ამის გამო გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ და საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა გადაწყვიტეს განახორციელონ ერთობლივი ლენინისიები — სისტემატურად ამხილონ წუნის მკეთებლები. შეეძლნენ შეუწყნარებლობის ვითარება იმათ მიმართ, ვინც უგულოდ მუშაობს, სხვასაც ხელს უშლის, აფუჭებს ძვირფას ნედლეულს და წუნის გამო სახელმწიფოს ზარალს აყენებს.

ამ ერთობლივი ლენინისიებიდან გუშინ რადიოში გადაცემულ იქნა ნოვატორი ზეინკლის შ. ფირცხალავას საუბარი: „საბჭოთა პროდუქცია საუკეთესო უნდა იყოს!“ ამასვე საუბარს გეგეჭკორი „კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში.

ჩვენი მრეწველობის მიერ დამზადებული ბევრი ნაკეთობა მაღალი ხარისხითა და სიმტკიცით არის განთქმული. საბჭოთა ადამიანებმა ისწავლეს გამძლე და ლამაზი ნივთების დამზადება.

რა პროდუქციასაც უნდა გამძლეადეთ შეფასებას, ორთულესი თანამედროვე მოწყობილობა იქნება ის თუ მარტივი ნივთი, უპირველეს ყოვლისა გვაინტერესებს მისი სიმტკიცე, გამძლეობა, საიმედოობა ექსპლოატაციის დროს. თვითონ განსაჯეთ: თქვენ არ იყიდით იმ ნივთსაც კი, რომელიც ძალიან მოგწონთ, თუ დარწმუნებული არ იქნებით იმაში, რომ ის დიდხანს გაგრძელდა სამსახურს. კარგი ნამუშევარი ანუ ნივთი კი ის არის, რომელიც სიყვარულით, სულით და გულით არის გაკეთებული.

ასეთ ნივთს ადამიანისათვის სიხარული მოაქვს, მას ხანგრძლივად და საიმედოდ ემსახურება. პროდუქციის ხარისხს სხვა, ასე ეთქვათ, რაოდენობითი ხასიათის მნიშვნელობაც აქვს. ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესება არსებითად ნიშნავს მის გადიდებულ წარმოებას დამატებითი შრომისა და სახსრების გამოუყენებლად. საბჭოთა ადამიანები სამართლიანად ამაყობენ ბევრი ჩვენი საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხით და სრულყოფილობით. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრია ისეთი საწარმო, რომელთა მუშაკები გატაცებული არიან პროდუქციის მარტო რაოდენობით და ჯეროვან უურადღებას არ აქცევენ მის ხარისხს.

ჩვენს ქარხანაში, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი ჩარხსამშენებელი საწარმოა რესპუბლიკაში, იქმნება ახალი, სრულყოფილი სახარატო ჩარხები, რომლებიც როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ საერთო მოწონებით სარგებლობენ, მაგრამ არც იმას დავმალავ, რომ ზოგჯერ ვუშვებთ ისეთ პროდუქციას, რ ჯლის ხარისხი ვერ აკმაყოფილებს მოახმარებელთა მოთხოვნილებას.

შარშან ქარხანამ 23 რეკლამაცია მიიღო. ჩვენი მისამართით მოვიდა ადგილ-ად რამდენიმე წერილი, სადაც მომხმარებელი გაუწევლად გვმუშაობენ. ბევრ ადგილას ეკითხულობდით, სირცხვილი გვწვადდა. ერთ-ერთი სახარატო ჩარხი მომხმარებელმა მხოლოდ იმიტომ დაიწუნა, რომ ჩარხის მთელი ზედაპირე შესადუღებელი კონსტრუქციები შეღდუღებელს უგულოდ, უხარისხოდ შეეხრულებინა, მოშვებული იყო მარეგულირებელი შპინდელის ჭანჭიკები, ხოლო ერთ-ერთი კვანძის შიგნით აღმოჩნდა ჭუჭყი და წვრილშანი დეფექტები.

ტყუილად როდი ამბობენ: ყოველ წუნს თავისი გვარი, სახელი და მამის სახელი აქვსო. დანაშაულნი, ცხადია, ვიპოვნეთ. ესენი იყვნენ ამწყობი საამქროს ოსტატები მიხეილ სპიკინი, ალექსანდრე ნიკიბაძე და ნიკოლოზ დოლმაზოვი. მაგრამ ამ საქმეში ცოდავს ზოგიერთი სხვა მუშაც, რომელიც კეთილსინდისიერად არ ეკიდება მინდობილ საქმეს და თავისი უდარდელობით ზარალს აყენებს წარმოებან. მაგალითად, მრანდაშვა ოზრო ხუციურაულმა გამოუშვა 88 წუნდებული დეტალი, ხოლო ხარატმა ნიკოლოზ ბლიდნიცმა — 120 დეტალი. რა თქმა უნდა დამნაშავენი არიან ამ განყოფილების ტექნიკური კონტროლორებიც, რომლებმაც თვალი აარიდეს ნაკლოვანებებს და მოადუნეს სიფხიზლე. რაკი სიტყვა ტექნიკურ კონტროლიორებზე ჩამოვარდა, მინდა ამ საკითხზე ჩემი შეხედულება გამოვთქვა. ქარხანაში ამჟამად საკმაოდ არიან კონტროლიორები, მაგრამ წუნი მაინც იპარება. აქვს თუ არა აზრი, რომ შემდეგშიც გავადოდთ კონტროლიორთა შტატი? რა თქმა უნდა, არა.

ტექნიკური კონტროლი უსათუოდ უნდა გავაუმჯობესოთ და გავაძლიეროთ. მაგრამ ნაწარმის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში მთავარი როლი უნდა შეასრულოს თვითეულმა მუშამ. თვით მუშის სინდისი უნდა გადაიქცეს პროდუქციის ხარისხის მკაცრ კონტროლიორად, მის საიმედო გუშაგად.

ჩემს ბრიგადაში სწორედ ასე ვიმსჯელეთ, — გადაეწყვიტეთ ტექნიკური კონტროლის გაუწევლად გვემუშავნა. დაეიურდენით ჩვენს მუშურ სინდისს, და საუკეთესო შედეგსაც მივაღწიეთ. საქმე ის არის, რომ შეიძლება მემმოწმებელმა ვერ შენიშნოს ნაკლი, მაგრამ მთავარია წუნს თვითონ მუშა არ შეურიგდეს.

ხშირად მექანიკური საამქროების მიერ დამუშავებული დეტალები, რომლებსაც ჩვენ ვიღებთ, უხარისხოა. ასეთ შემთხვევაში წუნდებულ დეტალებს უკან ვაბრუნებთ შესასწორებლად. ეს ავვიანებს ჩარხების აწყობას, გეგმის დროულად შესრულებას.

ზოგჯერ არის ასეთი შემთხვევებიც: ჩარხი უკვე აწყობილია და აი, გამოცდის პროცესში გაიბზარა კორპუსი, წუნდებული აღმოჩნდა სადგარი. მერე ვინ მიზეზით: თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მიზეზით, რომელმაც წუნდებული პროდუქცია ჩამოასხა და გამოგვიგზავნა. ეს პირველი შემთხვევა როდია. ამ ქარხნიდან ხშირად გვიგზავნიან სახარატო ჩარხისათვის უხარისხო სადგარებს, სიჩქარის ყუთებს, ხიდურებსა და წინა საფარებს.

მომდინარე წლის მარტამდე „163“ ტიპის სახარატო ჩარხების დამზადებაზე ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის წუნდებული სხმულების. ჯამო 798 მანეთი გადგეხარჯა და 2.535 სამუშაო საათი დაგეკარგა.

წუნის რა შემთხვევაც არ უნდა აღიღოო, ეს ყოველთვის სახალხო სახსრების განიავებაა. სწორედ ამიტომ მოგვიწოდებს კომუნისტური პარტია უღმობელი ბრძოლა გამოუცხადოთ წუნის მკეთებლებს, წუნის მკეთებლებმა პასუხი უნდა აგონ როგორც მატერიალურად, ისე მორალურად. მათ წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ არა მარტო ეკონომიური ღონისძიებებითა და კანონებით, არამედ მთელი საზოგადოებრივობის ზემოქმედებითაც, რადგან პროდუქციის განუწყვეტელი გაუმჯობესებისათვის დღიურ საწარმოო გეგმებს ვერ ასრულებენ. კომუნისტური შრომის დამკვიდრების საპატიო მოვალეობაა შეასწავლონ მოწინავე გამოცდილება ჩამორჩენილ მუშებს, აიყვანონ ისინი ქარხნის „შუქურების“ დონემდე.

ჩვენი ვალია წმიდად დავიცვათ საბჭოთა მუშის ღირსება: მთავარია გული შეგტკიოდეს საქმისათვის, გრძნობდე პასუხისმგებლობას არა მარტო საკუთარი ნაშრომის გამო, არამედ შენი კოლექტივის მუშაობისათვისაც: ხელს უწყობდე იმას, რომ წარმოების ყველა უბანი რიტმულად მუშაობდეს. საბჭოთა მუშის მიერ დამზადებული ნაკეთობა ყოველთვის საუკეთესო უნდა იყოს, რომ კეთილსინდისიერად და სიყვარულით დამზადებულმა ნივთმა მომხმარებელს თვალი მოსტაცოს, მოხიბლოს და გაახაროს.

პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა თვალსაჩინო ნიშანია ახლისა, იგი დიდმნიშვნელოვანი საკითხია და დიდ საუბარს მოითხოვს. მოდით ვისაუბროთ ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე. ერთმანეთს გავუზიაროთ გამოცდილება.

საბჭოთა პროდუქცია საუკეთესო უნდა იყოს! თვითეულმა, ვისთვისაც ძვირფასია კომუნიზმის მშენებლის სახელი, თავის უბანზე უყოლაფერი უნდა გაკეთოს იმისათვის, რომ „ეს ლოზუნგი წესად აქციოს. ამ წესიდან გამონაკლისი დაუშვებელია.

ყოველივე საბჭოური — მანქანა, ჩარხი, სახლი, ტანსაცმელი ყველა საათის პროდუქცია — საუკეთესო ხარისხისა უნდა იყოს. ყოველ საგანში უნდა იგრძნობოდეს ადამიანზე ზრუნვა. დაე მუშასაც, ტექნოლოგსაც და დამპროექტებელსაც ყოველთვის ჰქონდეს საფუძველი სიამაყით გაუსწოროს თვალი მომხმარებელს და უთხრას — ეს ჩემი გაკეთებულია.

შ. ფირცხალავა,
თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელი ქარხნის ამწყობი ზეინკალი, კომუნისტური შრომის დამკვრელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

უქმად დაკარგული მიწები

მიწა! რა ბევრის მთქმელია ეს ერთი სიტყვა. მიწა — სიცოცხლეა, მიწა — სიცოცხლის წყაროა. მიწა ადამიანის საარსებო საშუალებაა, მიწას „დედამიწა“ უწოდა ქართველმა ალმა და ამით გამოხატა არა მარტო თავისი სიყვარული მიწისადმი, არამედ ხედმოწევნით განსაზღვრა მისი არსიც. დიახ, მიწა ბუნებაში ყველაფრის დედაა.

მიწას ადამიანი ოდითგანვე თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა და პატრონობდა.

შრომა დიდი ხანია ტრაქტორმა შეამსუბუქა, ამასთან გაჩნდა მძლავრი საოფლო-სამეურნეო ტექნიკა, კომპლექსური მექანიზაცია, ქიმიზაცია. და გული გწყდება, რომ ჯერ კიდევ შეხვდები მიტოვებულ, დუდუნგრობით გაყამრებულ, სახნავ მიწებს.

— ეს როგორ? სად? — იტყვის მკითხველი.

დიახ, ასეა ახალციხის საწარმოო სამმართველოს ზოგიერთ სოფელში.

— ჩვენი რელიეფი მთაგორიანია, სახნავი მიწები ქედები და პატარ-პატარა ნაკვეთებად დაყოფილი. წინათ კაცთა შეეძლებოდა მათი დამუშავება. ახლა ტრაქტორი ვერ უდგება. სწორედ ამიტომ გვრჩება მიწები დაუმუშავებელიო, —თავს იმართლებენ ზოგიერთი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები.

მათი განცხადება ნაწილობრივ სწორია. მთიან ადგილებში მართლაც ყველგან ვერ მუშაობს ტექნიკა. მაგრამ ასეთი სახნავი მიწები მათ ხომ დიდიხანია მიატოვეს და ჩამოწერეს? ჯერ კიდევ მაშინ, როცა ტრაქტორებით დაიწყეს მიწის დამუშავება. მართალია, დიდი ხანია კაცთა აღარაფერ ხნავს. უკან ვერ დაებრუნდებით. მაშ როგორ მოვიქცეთ?

ახალციხის საწარმოო სამმართველოში ამის შესახებ უფიქრია ვინმეს?

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საქმეში ახალციხის საწარმოო სამმართველომ დიდ წარმატებს მიაღწია შარშან, მაგრამ ეს ისაა როდი ნიშნავს, რომ გამოყენებულია მიწის მთელი რეზერვები.

მარტო ადიგენის საბჭოთა მეურნეობაში მეზობელი სოფლების ვარხნის, წყნისის, აბასთუმნის, ქიქინეთის, ბარჯომის, ჩიერიეტოს და სხვების შემოერთების შემდეგ 1.855 ჰექტარიდან 1.005 ჰექტარამდე შემცირდა სახნავ-სათესი მიწები, 800 ჰექტარზე მეტი სახნავი ფართობი გაყამრდა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ წლების განმავლობაში ათასობით მანეთის ზარალს განიცდიდა მეურნეობა. შარშან ერთგვარი ბიძგი გადადგეს წინ, წაგებას თავი დააღწიეს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აქ უკვე ყველაფერი რიგზეა. კვლავ აუთვისებელია გაყამრებული სახნავი მიწები და ეს დღესაც ნორმალურ მდგომარეობად მიაჩნიათ მეურნეობის ხელმძღვანელებს (დირექტორი ს. ზახაშვილი).

— მიწები უვარგისია, მანქანები არ უდგება, როგორ დაუამუშაოთო?! — თავს იმართლებენ ისინი და დაკონებით „გეგმტაციებენ“, რომ მათ ეს სახნავი მიწები უკვე ჩამოწერეს, თუმცა ეს არავის არ გაუკეთებია.

გვაკვირვებს მათი პასუხი. სახნავი მიწები, რომლებსაც კოლმეურნეობები ხნავდნენ, რომლებზეც თესავდნენ დიდი ხნის მანძილზე, კარგი იყო. ახლა, მეურნეობის ჩამოყალიბების შემდეგ, რამდენიმე წელიწადში, რა მოხდა, რატომ გახდა მიწები ჩამოსაწერი?

ადიგენის საბჭოთა მეურნეობაში არც სხვა სასოფლო-სამეურნეო საკარგულებია გამოყენებული ეფექტურად. მეეფლეობას 4.569 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული აქვს, აქედან 2.414 ჰექტარი სძოვრებს უჭირავს, საიდანაც 1.046 ჰექტარი სახიფთელი ადგილებია, ხოლო 1.368 ჰექტარი გვიან შემოდგომისა და ადრე გაზაფხულის ბარის სძოვრებია. მათ კარგი პირობები აქვთ მეცხვარეობის განვითარებისათვის, მაგრამ ადგილ უკვე მესამე წელია, რაც არც ერთი სული ცხვარი არა ჰყავთ მეურნეობაში, მაშინ როდესაც აწყურის საბჭოთა მეურნეობას მათზე ორჯერ ნაკლები სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და საძოვრები აქვს და 2.600 სულამდე ცხვარს ინახავს. ცხვრისაგან მოგებაც დიდი აქვთ აწყურელებს.

ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე ადიგენის საბჭოთა მეურნეობაში დაანლოგებით 40 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი მოდის, აწყურის საბჭოს მეურნეობაში კი 66, ანუ ერთნახევარჯერ მეტი. ამიტომ არის, რომ ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ადიგენის საბჭოთა მეურნეობაში ერთნახევარჯერ ნაკლებ ხორცს აწარმოებენ, ვიდრე აწყურის საბჭოთა მეურნეობაში.

ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ადიგენის საბჭოთა მეურნეობაში თითქმის ორჯერ უფრო ძვირი უჯდებათ ცენტნერი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცის წარმოება, ვიდრე აწყურის საბჭოთა მეურნეობაში. შარშან მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ერთი ცენტნერი ხორცის თვითღირებულებამ ადიგენის საბჭოთა მეურნეობაში 130 მანეთი და 80 კაპიკი შეადგინა, აწყურის საბჭოთა მეურნეობაში კი 68 მანეთი და 05 კაპიკი.

სახნავი მიწების გაყამრებისა და გაუვარგისების შემთხვევებს ადგილი აქვს ახალციხის საწარმოო სამმართველოს ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაშიც.

უკანასკნელი სამი-ოთხი წლის მანძილზე სამმართველოში 4.413 ჰექტარით რატომ შემცირდა სახნავ-სათესი მიწები?

დროა დაისახოს ღონისძიებანი, რათა დაკარგული სახნავ-სათესი მიწები და სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები კვლავ ჩაგვეს პროდუქტების წარმოების სამსახურში. აქვე უხდა შევნიშნოთ, რომ იმ სავარგულებზე, სადაც ბანქანა მართლაც ვერ მიუდგება, ეფექტურობთ, უკეთესი იქნება ბაღებისა და ტყის გაშენება. ამით გაკეთდება საშვილიშვილო საქმე.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სკოლა და ცხოვრება

ღირსეულნი იმარჯვებენ

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში საზეიმო ვითარებაში შეიკრიბნენ რაიონის სახალხო განათლების მუშაკები, საბჭოთა, საზოგადოებრივ, კომკავშირული, პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. ეს საზეიმო შეკრება იმას მიეძღვნა, რომ სასკოლო მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის ზუგდიდის რაიონი მესამეჯერ ჯილდოვდება გარდამავალი წითელი დროშით. დროშა გადასცა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ ამხ. უ. ოხოლაძემ.

აქვე სამკერდე ნიშანი „სასახლო გათათლების წარჩინებული“ და საპატიო სიგელები გადაეცით განათლების, პარტიულ, სამეურნეო და საბჭოთა მუშაკებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სასკოლო მშენებლობაში.

შეკრების მონაწილეებმა ახალი სასწავლო წლისათვის საუკეთესოდ მომზადებისათვის გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს მახარაძის რაიონის მშრომელები.

ტყიბული. (საკ. კორ.). ქალაქის განათლების დარგისა და საწარმო-დაწესებულებათა კოლეტივებმა შესანიშნავად მოამზადეს სკოლები და საბავშვო დაწესებულებები 1963-1964 სასწავლო წლისათვის. რესპუბლიკაში გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ამ წარმატებისათვის ქ. ტყიბულს მიეკიჩა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ამ მოეღენას მიეძღვნა განათლების მუშაკებისა და აქტივის საზეიმო საქალაქო კრება, რომელიც ამ დროებში გაიმართა მეშახტეთა კულტურის სახლში.

ლამაზი სამოსი

კონფერენცია ვაჭრობის საკითხებზე უნივერსიტეტში

შეკერილ ნაწარმზე მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლა საცალო და საბითუმო საგაჭრო ორგანიზაციის მიერ, ამ ორგანიზაციების ზემოქმედება სამრეწველო საწარმოებზე და შეკერილი ნაწარმით ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების ამოცანები — ასეთი იყო საკითხთა წრე თეორიული კონფერენციისა, რომელიც მოეწყო საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის ეკონომიკის და საქონელმცოდნეობის კათედრების ინიციატივით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკტო დარბაზში თავი მოიყარეს დედაქალაქის საგაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რათა ფართოდ განეხილათ ეს მეტად აქტუალური საკითხი.

მოხსენება თემაზე „შეკერილ ნაწარმზე მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლა და ამ ნაწარმით ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების ძირითადი ამოცანები“ წაიკითხა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს „თბილტანსაცმელვაჭრობის“ დირექტორმა ვ. დიდმამიშვილმა.

რესპუბლიკური საბითუმო ბაზის „საქტანსაცმელვაჭრობის“ მიერ საგაჭრო ორგანიზაციების მოთხოვნილების შესწავლა და ურთიერთობის დამყარება მრეწველობასთან“. ასეთი იყო რესპუბლიკური საგაჭრო ბაზის „საქტანსაცმელვაჭრობის“ მმართველის მოადგილის **ვ. სარაულის** მოხსენების თემა.

თანამოხსენებით ამ საკითხზე გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის ეკონომიკის კათედრის გამგე, პროფესორი **ა. გოგიელი.**

მოხსენებათა გარშემო გაიმართა ცოხველი კამათი და ბრძოლა გაცვლა-გამოცვლა. საგაჭრო ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოს წარმომადგენლებმა მრავალი საყურადღებო პრაქტიკული წინადადება წამოაყენეს.

კონფერენციამ შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზე დაისახება შეკერილ ტანსაცმელზე მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლისა და ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებები.

კარგია, თქვას მომხმარებელმა

ვერ ნახავთ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ისეთ ადგილ დასახლებულ უბანსაც კი, რომ იქ არ იყოს უახლესი საავაჭრო ტექნიკით აღჭურვილი მაღაზია, პავილიონი, კიოსკი, სასადილო. ქალაქის ზრდასთან ერთად იზრდება და ფართოვდება მისი საავაჭრო ქსელიც.

თბილისელი ვაჭრობის მუშაკები, პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობით წარმატებით წყვეტენ საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს: გულისხმიერად შეისწავლონ მოთხოვნილება საქონელზე, იცოდნენ, რას მოითხოვს მომხმარებელი დღეს, უფრო ფართოდ დანერგონ ვაჭრობის პროგრესული ფორმები, უკეთ მოეშახურონ მოსახლეობას.

პირველი შედეგები უკვე ნათელია. უკანასკნელ ხანს მოსახლეობას ათეულ მილიონობით მანეთად მეტი ღირებულების საქონელი მიეყიდა, ვიდრე წინა წლებში. მარტო უკანასკნელი სამი წლის მანძილზე საქონელბრუნვა 15,8 პროცენტით გაიზარდა.

საქონელბრუნვის მიმდინარე წლის პირველი კვარტლის გეგმა ვერ შეასრულა. როგორც ჩანს, ვაჭრობის ორგანიზაციაში კვლავ არის ნაკლოვანებანი, დამახინჯებანი.

რამდენადაც ფართოვდება და უმჯობესდება საბჭოთა ვაჭრობა, იმდენად ორფაზია და მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს ამ დარგის მუშაკებისგან მათ წინაშე დასახული ამოცანები. მთელ რიგ საავაჭრო ორგანიზაციათა მუშაკები, მათ შორის ზოგჯერ ხელმძღვანელი მუშაკებიც კი, ნაკლებად იმაღლებენ თავიანთ კვალიფიკაციას, არ სწავლობენ მოწინავეთა, შუქურათა გამოცდილებას. ისინი ფიქრობენ იმუშაონ ძველი „ბაგაეთთ“. სწორედ ამიტომ არის, რომ ცუდად ინერგება ახალი და მოწინავე.

ხდება ასეც. ზოგ შემთხვევაში საავაჭრო ქსელში საკმაო რაოდენობით არ მოიპოვება ისეთი საქონელი, რომელიც ბაზებსა და საწყობებში უხვად, უმძიმრად აწყვია. გაბა ხორმალურად ჩაითვლება ის ფაქტი, რომ თბილმრეწველკავჭრობის № 53 მაღაზიაში შემოწმებისას არ იყიდებოდა თოთხმეტი სახის სხვადასხვა საქონელი, ამავე სისტემის № 22 მაღაზიაში კი ოცდაათი დასახელებისა? ასეთი ფაქტები ეთოელი როდია „ფეხსაცმელვაჭრობის“, „ქსოვილვაჭრობის“, „ავეგვაჭრობებისა“ და სხვა საავაჭრო ქსელში.

საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაზე, ცხადია, არანაკლებ გავლენას ახდენს საქონლის ხარისხი. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ამ მხრივ. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მომხმარებელთა მოხმარების მაღალი კულტურა ამას უსწრებს. ამ მიმართულებით რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებს ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი.

ხშირ შემთხვევაში საქონლის დამზადება ხდება ანა საავაჭრო ორგანიზაციების მიერ მოთხოვნილი ნომენკლატურის მიხედვით, არამედ მასალის იმ რესურსების მიხედვით, რაც საწარმოს გააჩნია. სწორედ ამიტომ არის, რომ ხშირად მომხმარებელი დახლთან, საქონლის ყიდვისთანავე ამბობს: მიმაქვს, მაგრამ რაღაც გული მეთანაღრება, არ მომწონს!.. ჩვენ კი გვინდა მან სიხარულით თქვას: — რა კარგია!

„თბილტანსაცმელვაჭრობამ“ სოხუმის № 11 საქალაქო ფაბრიკისაგან პირველი ხარისხის ოარლიყით 273 ერთეული სამუშაო ხალათი მიიღო. შემოწმებით აღნიშნული პროდუქცია მთლიანად უკარგისი აღმოჩნდა. მარტო შარშან „თბილტანსაცმელვაჭრობამ“ როგორც მომხმარებისათვის უკარგისი, საწარმოებს უკან დაუბრუნა 12.654 ერთეული. ასეთივე ფაქტები საავეჯოს, ფეხსაცმლის მრეწველობაში და სხვა სამრეწველო საქონლის წარმოებაში.

მოვწოდებები ხშირად დაწესებულ გრაფიკსაც ირღვევენ. ამას თან ერთვის ისიც, რომ ზოგიერთი დახლის მუშაკი გულცივობს, დამშვიდებით ელოდება საქონლის მიღებას, არ იღებს საჭირო ზომებს.

განა შესაწყნარებელია ისეთი ფაქტები, როცა „თბილკეგვაჭრობისა“ და „გასტრანომვაჭრობის“ ზოგიერთ მაღაზიაში ლიმონათი დღეების მანძილზე არა აქვთ?

განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი საზოგადოებრივი კვების საკითხს. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საზოგადოებრივი კვების ქსელი 29,8 პროცენტით გაიზარდა, ხოლო დასაჯდომი ადგილები 75,5 პროცენტით. გაუმჯობესდა კერძების ხარისხი, გამდიდრდა მისი ასორტიმენტი, ამაღლდა მომსახურების კულტურა.

საზოგადოებრივი კვების მუშაკებს დიდი მუშაობა მართებთ მუშათა და სტუდენტთა სასადილოების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

მთელ რიგ საწარმოთა სასადილოებში დასაჯდომი ადგილების რაოდენობა მცირეა. მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშათა სასადილოში მხოლოდ ორასი დასაჯდომი ადგილია, მაშინ როცა აღნიშნულ საწარმოში რამდენიმე ათასი მუშა-მოსამსახურე შრომობს. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელ ქარხნის სასადილო მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ამ ქარხნის ხელმძღვანელ ორგანოებთან ერთად, ნაკლის გამოსასწორებლად დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. კიროვის სახელობის ქარხნის სასადილო, ვიმედოვნებთ, მალე სანმაუშო იქნება.

უკანასკნელ ხანს სასურსათო საქონლით ვაჭრობაში დიდი ალიარება ჰპოვა თვითმომსახურებამ. ცნობილია, რომ თვითმომსახურების მაღაზიაში მომხმარებელი ოცდაათი-ორმოცი პროცენტით ნაკლებ დროს კარგავს, ვიდრე ჩვეულებრივ მაღაზიაში.

ნათელი პერსპექტივები აქვს მომავალში თვითმომსახურების მაღაზიებს მეა. ზრდა-გაფართოებას. აქვე უნდა აღინიშნოს მტკივნეული საკითხიც. როგორც საავაჭრო ორგანიზაციები, ისე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო დღემდე საჭირო ყურადღებას არ ტიკეენ თვითმომსახურების მაღაზიებს: ერთი, შეფუთული და საცალო საქონლის გამოშვების დაკალებები სანახევროდაც არ სდღლდება. ეს კი თვითმომსახურების მაღაზიების მუშობას აფერხებს.

მეტი გასაკანი მიეცა ქუჩებში გამსვლელ ვაჭრობას, მომხმარებელთან მიახლოებას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ღონისძიება კარგად გამოიყენეს „თბილტანსაცმელვაჭრობამ“, „თბილსოფლეკვაჭრობამ“, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით „თბილფეხსაცმელვაჭრობის“ შესახებ.

გამსვლელ ვაჭრობას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, აი თუნდაც ერთი პატარა ეპიზოდი ამის დასადასტურებლად.

პირველი მაისის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის მახლობლად კლარა ცეტკინის ქუჩაზე საგაზაფხულო-საზაფხულო ბაზრობაზე ზესტაფონელი კოლმეურნე ვნახეთ.

— ბამბაზიის საკაბე გაქვთ? — ჰკითხა ბერიკაცმა გამყიდველს.

— გახლავთ, ძია კაცო!

— ბავშვის საკაბე?

— ინებეთ!..

— რა კარგია, შორს არ დამჭირდა წასვლა, რაც მინდოდა, აქვე ერთ ადგილზე ვიშოვნე, ახლად ნაყიდები სახელდახელო მაღაზიებიც თვალს იზიდავენ...

მართლაც კეთილმოწყობილი, ლამაზი მაღაზიები ამშვენებენ საგაზაფხულო ბაზრობის რიგებს...

სიახლე ვაჭრობაში წინსვლის წყაროა. ეს, რაც მომხმარებელს აკმაყოფილებს, კარგი და მისასალმებელია.

სამწუხაროდ, მომხმარებელს ყოველთვის როდი ეკეცვიან პატიოსნად. ვხვდებით საბჭოთა ვაჭრობის წესებს უხეშ დარღვევას, ზომა-წონაში მოტყუებას, სახელმწოდო ქონების დატაცების ფაქტებს. კადრების შერჩევა-განაწილებაშიც არის ნაკლი.

საავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის რიდი განაზოგადებენ მოწინავეთა გამოცდილებას. მოწინავენი — დახლის მუშაკები კი ბევრი გვყავს. თბილისში ათობით არის კომუნისტური შრომის ბრიგადა, მაღაზიებიც კი, მათს გამოცდილებას დახლის მუშაკები ნაკლებად იცნობენ. პრესაშიც იშვიათად იწერება წარჩინებულ ადამიანთა შემოქმედებითი შრომის მაგალითებზე.

ცახლის შუქურების გამრავლება, მათთან იდეურ-ორმხრივლმბითი მუშაობის გაძლიერება პირველადი პარტიული ორგანიზაციების სისხლხორცეული საქმეა. დახლის მუშაკებთან ლეკციებით ფართოდ უნდა გამოდიოდეს აგრეთვე საავაჭრო დარგის ხელმძღვანელი მუშაკები. საუბრები უნდა მოეწყოს ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებით, პრაქტიკულ საკითხების გათვალისწინებით.

ჩვენ მოვალენი ვართ ისე მოვაწყოთ თბილისელ მომხმარებელთა საავაჭრო მომსახურება, რომ იგი სანიმუშო იყოს, სავსებით უპასუხებდეს პარტიის მაღალ მოთხოვნებს. ამისათვის ყველა აუცილებელი პირობა გვაქვს.

რამდენჯერმე დაისვა საკითხი თბილისში სანიმუშო უნივერმაღის აგების შესახებ. გამოიხატა შენობის ესაგები ადგილი, დაპროექტებისა და სხვა სახის სამუშაოთა შესრულებაზე დაიხარჯა დიდი თანხები, მაგრამ კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს ნამდვილად უნდა ამშვენებდეს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით ნაგები, დამშვენებული უნივერმაღი.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია რიგასთან. საავაჭრო მომსახურების კულტურის ამაღლება ნაკისრ გალდებულებათა ერთ-ერთი მთავარი მუხლია. შევასრულოთ ვალდებულებანი პირნათლად, საბჭოთა ვაჭრობის დარგშიც სანიმუშო გავხადოთ თბილისი — ასეთია საბრძოლო ამოცანა.

ნ. ბიბილეიშვილი,
თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსი.

მამულმოყვარეობა წარილზე „აგიტატორის ფიქრები“

ამას ცხოვრება გვიკარნახებს

ნაციკითხე გაზეთ „კომუნისტში გამოქვეყნებული წერილი „აგიტატორის ფიქრები“. და ერთხელ კიდევ ღრმად ჩამაფიქრა. რაოდენ დიდი და საპატიო ამოცანა გვაკისრია ჩვენ, განსაკუთრებით ახლა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების შემდეგ, როდენ ფართო და მრავალმხრივია აგიტატორთა მოღვაწეობის სფერო!

ამ წერილისადმი ჩემი ინტერესი ბუნებრივია. ჯერ ერთი, მეც აგიტატორი ვარ, მეორეც, ისევე როგორც გ. ქეგხიშვილს, მუშ

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ცხოვრება

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საგარეო ვაჭრობის საკითხთა მუდმივი კომისიის სხდომა

მოსკოვში 27-29 მაისს გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საგარეო ვაჭრობის მუდმივი კომისიის მორიგი სხდომა, სხდომაში მონაწილეობდნენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების — ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციები.

სხდომას მეთვალყურეებად დაესწრნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და კუბის რესპუბლიკის წარმომადგენლები.

კომისიამ განიხილა შედეგები მოლაპარაკებისა, რომ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის დიდოს ოქმები 1964 წელს საკონლის ურთიერთშორის მიწოდების შესახებ და მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკების მოწყობის შესახებ, აგრეთვე დაიდოს ოქმები გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმებისათვის 1965 წლამდე საკონელსტრუნის დამატებით გაფართოების შესახებ.

სხდომაზე განიხილეს საკითხი, რომ გაფართოვდეს სახალხო მოხმარების საკონლის მიწოდება, მოიწონეს ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ საკონლით ურთიერთვაჭრობის შემდგომ განვითარებას. (საკდესი).

ᲛᲝᲙᲚᲔ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

△ პოლონეთის ქალაქ კრაკოვში გაიხსნა მოკლემეტრაჟიანი ფილმების 1-ლი საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალზე წარმოდგენილია 20 ქვეყნის 53 ფილმი. საბჭოთა კავშირმა ფესტივალზე წარადგინა სამი ფილმი: „იებიანი დვიდა", „რაზე ფიქრობ, ჯარისკაცო?", „საღამოს ნაპირი".

5 ივნისს გაიმართება საბჭოთა მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენება, მოგზაურობა კოსკურსგარეშე დემონსტრაცია შეძდეგი ფილმებისა: „უკანასკნელი ფურცლები" (ვ. ი. ლენინზე), „ჯარისკაცადელი ძმები პოლონეთში" (კოსმონავტების ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვასა და ვალერი ბიკოვსკის ყოფნა პოლონეთში) და „მზესუმზირას თესლი".

△ **კოლონიგიოში** (ცეილონი) **გაიხსნა საბჭოთა წიგნის გამოფენა. გამოფენაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის შრომებს. ფართოდ არის წარმოდგენილი ნ. ს. ხრუშჩოვის სტატიები და სიტყვები. თვალსაჩინო ადგილი აქვთ გამოყოფილი რუსი და საბჭოთა მწერლების ნაწარმოებებს სენეგალურ, თამილურ და ინგლისურ ენებზე.**

△ **დამასკოში** გამოქვეყნდა სირიის არაბთა რესპუბლიკის საპრეზიდენტო საბჭოს დეკრეტი, რომელშიც ხათქვამია, რომ დღეიდან რესპუბლიკის პრეზიდენტს ჰქვია „საპრეზიდენტო საბჭოს თავჯდომარე". შემოღებულია აგრეთვე ახალი ცნებები „თავჯდომარის მოადგილე" და „საპრეზიდენტო საბჭოს წევრები".

△ **იაპონიის** ნავსადგურ **ნიიგატადან ხამშობლოში — კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაემგზავრა 345 კორეელი რეპატრიანტი. კორეელ მოქალაქეთა საერთო რიცხვი, რომლებიც იაპონიიდან კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაბრუნდნენ, შეადგენს 81.654 კაცს.**

△ ლონდონში მიმდინარეობდა მეცნიერ მუშაკთა ასოციაციის ყოველწლიური კონფერენცია, რომლის მონაწილეებმა მოითხოვეს მკვეთრად შემცირდეს ინგლისის სამხედრო ხარჯები. მიღებულ რეზოლუციაში ასოციაცია მოითხოვს ძალიანად ძვირადღირებული ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდა-მოსინჯოს უცხოეთის მაგალითი და სამხედრო ბლოკები.

△ **ჩინეთის** სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით მეგობრულ ვიზიტად პეკინში ჩავიდა ინდონეზიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი მარშალი ადჯალა ს.ს-სალალი.

△ **ესპანეთში** **მოგზაურობის შემდეგ პარიზში დაბრუნდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კუვ დე მიურვილი, მადრიდში მას მოლაპარაკება ჰქონდა „მუდმივი თანამშრომლობის" შესახებ ყველა სფეროში საფრანგეთისა და ესპანეთის მთავრობებს შორის. აღრე-დრომზე საგარეო საქმეთა მინისტრმა უარი თქვა რაიმე განცხადება გაეკეთებინა პრესის წარმომადგენლებისათვის.**

△ ალჟირი, 1 ივნისი. (საკდესი). 25 მაისიდან 30 მაისამდე ქალაქ ტლემსენში მიმდინარეობდა ალჟირ-მაროკოს მოლაპარაკება. მოლაპარაკების შედეგად ხელმოწერილია ერთობლივი კომუნიკე ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ.

როგორც პრესა იუწყება, ოქმით, რომელსაც ხელი მოაწერეს ალჟირისა და მაროკოს დელეგაციათა ხელმძღვანელებმა, გათვალისწინებულია, რომ ორივე ქვეყნის მცხოვრებნი თავისუფლად მიმდინეობენ და თავიანთი საკუთრება გადაკეთდათ საზღვარზე; დაბრუნდნენ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში მცხოვრებნი, რომლებიც გასახლებული იყვნენ რომელიმე ამ ქვეყნიდან კოზფლიქტის დროს; აუნაზღაურდეთ სათანადო პირთ საონარი მოკმედების შედეგად მიყენებული ზარალი; დაუყოვნებელივ გაათავისუფლონ ის პირნი, რომელთაც თავისუფლება აღუკვეთეთ კონფლიქტის დროს; გახასნონ ორივე მხარის ექსპერტებმა მოლაპარაკება თანამშრომლობის საკითხებზე.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ მოლაპარაკება მიმდინარეობდა „უთანერთგაგებისა და გულითადობის სულისკვეთებით".

△ **გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი ფონ ჰასელი ათენში ჩავიდა. დასავლეთგერმანელი მინისტრის საბერძნეთში ოფიციალური ვიზიტის პროგრამა ითვალისწინებს მოლაპარაკებას პრემიერ-მინისტრ პაპანდრეუსთან, თავდაცვის მინისტრთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან. ჩასვლისას ფონ ჰასელმა გააკეთა განცხადება. მან თქვა, რომ სამხედრო მოლაპარაკებას აწარმოებს „ნატოს ფარგლებში". ჰასელმა დასძინა, რომ ეცნობა აგრეთვე „საძხედრო-პოლიტიკური მოლაპარაკებაზ".

△ **ლონდონი**, 1 ივნისი. (საკდესი). აბერდინში მუცლის ტიფით დაავადებულთა რიცხვმა 160 მიაღწია. 49 კაცი საავადმყოფოშია, ეჭვობენ, რომ ტიფი სჭირთ.

გამოირკვა, რომ წყალქვეშა ნავის „როკუელის" ორი სამხედრო ეზღვაური მიეყვანეს გლაზგოს ჰოსპიტალში. ეჭვობენ, რომ მათაც ტიფი აქვთ. ფიქრობენ, რომ, ისევე როგორც აბერდინში, მათი დაავადების მიზეზი იყო დაკონსერვებული კაბაჯი.

ინგლისის დღეგანდელი გაზეთების სარედაქციო სტატიებში საზოგადოებრიობა აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ხელისუფლები მალავენ დაავადების ახალ შემთხვევებსა და ეპიდემიის დაწყების მიზეზებს.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲔᲑᲛᲐ

ბრიუსელი, 31 მაისი. (საკდესი). ბრიუსელში მიმდინარეობდა დედოფალ ელისაბედის სახელობის პიანისტთა კონკურსი, ამ ძნელ შეჯიბრებაში დიდი წარმატება ხვდათ წილად საბჭოთა მუსიკოსებს. სამი მათგანი გავიდა ფინალურ შესამე ტურში, რომელიც გუშინ დამთავრდა. უიურიმ პირველი პრემია მიანიჭა ახალგაზრდა საბჭოთა მუსიკოსს ლეგენი მოგილევსკის. მეორე პრემია მოიპოვა აგრეთვე საბჭოთა პიანისტმა ნიკოლოზ პეტროვმა.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲘ ᲜᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲜᲐ

დელი. 1 ივნისი. (საკდესი). მდინარე ჯამნის ნაპირი, სადაც მოხდა ინდოეთის განსვენებული პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს კრემაცია, დელის, ახლომახლო ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებთა სალოცავი ადგილი გახდა. მარტო გუშინ აქ დაახლოებით 400 ათასი კაცი იყო. ადამიანები მიდიან ამაღლებულ ადგილთან, სადაც მოხდა ჯ. ნერუს კრემაცია, კვარცხლბეკს ამკობენ ყვავილებით, და რამდენიმე წუთის მდუმარედ დგომის შემდეგ სხვებს უთმობენ ადგილს.

არ წყდება მნახველთა ნაკადი პრემიერ-მინისტრის სახლშიც, სადაც დგას ურნები ჯავაჰარლალ ნერუს ნეშტით. ყველაზე დიდ ურნას გაგზავნიან ალაჰაბადში, რათა ინდური ტრადიციისამებრ დაკრძალონ იმ ადგილას, სადაც ერთმანეთს უერთდება მდინარეები განგა და ჯამნა, რომლებიც ინდოეთში წმინდა მდინარეებად ითვლება. სხვა ურნებს განსვენებული ეროვნული ლიდერის ნეშტით ინდოეთის სხვადასხვა რაიონში გაგზავნიან.

ᲒᲝᲚᲓᲣᲝᲢᲔᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲜᲔᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ

მეხიკო, 31 მაისი. (საკდესი). ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლის საერთაშორისო ფრონტმა ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრს რობერტ კენედის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივან უ თანს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოითხოვა — სამართალში იქნეს მიცემული სენატორი ბარი გოლდუოტერი „ბენიციდის" გამოყენების საჯარო მოწოდების" გამო.

თავის ამასწინანდელ გამოსვლაში ტელევიზიით გოლდუოტერი მოითხოვდა, რომ ჩამოგდდთ ვიეტნამის ჯუნგლებში მცირე ძალის ატომური ბომბები.

საერთაშორისო ფრონტი მოითხოვს, რომ გოლდუოტერი გასამართლებულ იქნეს შესაბამისად კონვენციისა გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მის გამო დასჯის შესახებ, რომელიც მიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1948 წლის 9 დეკემბერს.

ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ დემოკრატიული რესპუბლიკა. კარლ მარქსის პროსპექტი ბერლინში. ფოტო ცენტრალბილდ—აას-ისა.

ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲑᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გუნდი, რომელიც შეხვდება მაგიდის ჩოგბურთის „ოთათერკანიანი" მოთამაშეებისგან, ესე იგი მკვიდრი მოსახლეობის სპორტსმენებისაგან, ვერ შეძლებს იყოს ამ ქვეყნის წარმომადგენელი სრულიად აფრიკის ჩემპიონატზე, რომელიც გაიმართება განაში აგვისტოსექტემბერში. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ მისცა მათ გასვლის ვიზები.

სამხრეთ აფრიკის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ს. მ. ბასამ განაცხადა, რომ უკვე მეკამეჯერ ეუბნებიან უარს ჩოგბურთელებს. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკია ხელიუფალთა დისკრიმინაციული პოლიტიკის შედეგად მათ მონაწილეობა ვერ მიიღეს 1961 წლის მსოფლიო ჩემპიონატსა და სრულიად აფრიკის 1962 წლის ჩემპიონატში. (საკდესი).

ᲒᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲐᲫᲐᲠᲪᲕᲐ ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝ ᲓᲐᲛᲒᲐᲩᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ

29 მაისს დღისით დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში მოხდა თავდასხმები ბანკსა და შემნახველ სალაროზე. იარაღის გამოყენების მუქარით ბანდიტებმა გაიტაცეს 37 ათასი კრონი.

მალე პოლიციის, ტაქსის შოფრებისა და ქალაქის მცხოვრებთა მეცადინეობით ორივე ბანდიტი შეპყრობილ იქნა. აღმოჩნდა, რომ ერთ მათგანს ჰქონია ჩვეულებრივი სათამაშო დამბაჩა, მეორეს კი — პლასტმასის პარაბელუმი, რომლებიც სათამაშოების ყოველ მაღაზიაში იყიდება.

ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ნიკოზია, 1 ივნისი. (საკდესი). კვიპროსის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო კანონპროექტი, რომელიც რწმუნებას აძლევს მთავრობას 25.000 კაცი გაიწვიოს რესპუბლიკის ეროვნულ გვარდიაში.

ᲞᲠᲚᲘᲪᲘᲐ ᲣᲡᲐᲮᲚᲙᲐᲠᲝᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

რომი, 1 ივნისი. (საკდესი). პოლიციის 4 ათასმა აგენტმა და კარაბინერებმა, რომლებიც შეიარღებული იყვნენ ტყვიამფრქვეველებითა და ცრემლსადენი გაზის გოანატებით, მოაწყვეს რომის ჯერღმეულება მცხოვრებთა გასახლების „ოპერაცია", რომლებმაც ტუფელის კვარტალში დაიკავეს ახალი სახლები.

„წესრიგის დამცველებმა" ძალით გამოაგდეს სახლებიდან იმ თავისებური მახიფეტაციის მონაწილენი, რომელიც გაიმართა პროტესტის ნიშნად იმის წინააღმდეგ, რომ ხელისუფლები გულგრილად ეკიდებიან იტალიის დედაქალაქის უსახლკაროთა და ჯურღმულების მცხოვრებთა გაჭირვებულ მდგომარეობას.

700 ოჯახი იძულებული იყო დატოვებინა ახლად ამენებული საცხოვრებელი სახლები, სადაც სამი დღე და ღამე გაატარეს, და დაბრუნდნენ თავიანთ ფარფულებში ან ღია ცისქვეშ. დღეს უსახლკაროებმა მოაწყვეს მიტინგი, რომელზეც ვრცელი სიტყვა წარმოთქვა დეპუტატთა პალატის წევრმა კომუნისტმა კლაუდიო ჩანკამ. მიტინგის დასასრულს მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს, ხელისუფლებამ განაახრციელონ სასწრაფო ღონისძიებანი უსახლკაროთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ᲓᲦᲔᲡ ᲞᲝᲜᲝᲚᲣᲚᲣᲨᲘ (ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘ)

ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲔᲜ ᲐᲮᲐᲚ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐᲡ

